ოქმი N5

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანის - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომისა**

ქალაქი ხობი 2016 წლის 11 ნოემბერი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ალექსანდრე არჩაია - მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;
2. მურმან ზაბილუა - წევრი;
3. მამუკა ბუკია - წევრი;
4. ლელა კიტია - წევრი;
5. თეა სოსელია - წევრი;
6. ჯონი ფარცვანია - წევრი
7. ბელა ქვარცხავა - წევრი, მდივანი;
8. იგორ ქირია - წევრი;
9. ნატო ცხადაია - წევრი;
10. მაზარე ჩოკორაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;
11. დავით ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
12. რომეტა შულაია - ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა" (მომხსენებელი - დ. ჭოჭუა; ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა" (მომხსენებელი - დ. ჭოჭუა; ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი).

მომხსენებელმა, საბჭოს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი გააცნო. მომხსენებლის განმარტებით: ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით შემოსავლები განისაზღვრა 6633,8 ათასი ლარით აქედან: გადასახადები 6000,0 ათასი ლარი, გრანტები 220.0 ათასი ლარი (აქედან: 220,0 ათასი ლარი - მიზნობრივი ტრანსფერი

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად), სხვა შემოსავლები 413.8 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით ხარჯები განისაზღვრა 6502.9 ათასი ლარით. აქედან: შრომის ანაზღაურება 1832.8 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 1007.6 ათასი ლარი, პროცენტი 54.3 ათასი ლარი, სუბსიდიები 2808.3 ათასი ლარი, გრანტები 336,0 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 446.8 ათასი ლარი სხვა ხარჯები 17,1 ათასი ლარი.

საოპერაციო სალდო განისაზღვრა 130,9 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა -81,0 ათასი ლარით. აქედან: ზრდა 155,3 ათასი ლარი, კლება -236,3 ათასი ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 6870,1 ათასი ლარით, აქედან: შემოსავლები - 6633,8 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება - 236,3 ათასი ლარით. ხოლო, ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 6870,1 ათასი ლარით, აქედან: ხარჯები - 6502,9 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 155,3 ათასი ლარით, ვალდებულებების კლება - 211,9 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე არჩაია - დაინტერესდა ბიუჯეტის პროექტის ძირითადი მიმართულებებით, კერძოდ თუ რა წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის ძირითად პრიორიტეტს.

დ. ჭოჭუა - განაცხადა, რომ წინა წლების მსგავსად, 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის ერთ -ერთ ძირითად მიმართულებას სოციალური სფერო წარმოადგენს.

ზ. ქვარცხავა - დაინტერესდა თუ რა რაოდენობის თანხაა გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაფინანსებლად.

დ. ჭოჭუა - განაცხადა, რომ ბიუჯეტის პროექტში ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვისათვის გათვალისწინებულია 111 ათასი ლარი.

თ. სოსელია - დაინტერესდა საბავშვო ბაგა - ბაღების დაფინანსების საკითხით;

დ. ჭოჭუა - განმარტა, რომ ბიუჯეტის პროექტის ერთ - ერთ ძირითად მიმნართულებას, სოციალურ სფეროსთან ერთად, სკოლამდელი განათლების დაფინანსება წარმოადგენს, რისთვისაც ბიუჯეტში 1.45 მილიონ ლარამდეა გათვალისწინებული.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი ადგილობრივი თვითმმართველობის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის მოწონების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 9, წინააღმდეგი - არც ერთი**

გადაწყვეტილება მიღებულია

დაადგინეს: მოწონებულ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე არჩაია